საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №57

20 20 წ. "26" 03

ქ.თბილისი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა დააკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და ამავე დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან".

1.3. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კარგავს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლებას;

თავმჯდომარე

მდივანი

ბ) ის სტუდენტი, რომელიც სწავლობდა სახელმწიფო დაფინანსებით, უფლებამოსილია გადავიდეს სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების დარჩენილი ოდენობა გადაიტანოს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წყვეტს რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. ამ შემთხვევაში სტუდენტებს 5 წლის განმავლობაში უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და უფლებამოსილი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 20 სექტემბერს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №-1242117 (ცენტრში რეგისტრაციის №-1242117) სააკრედიტაციო განაცხადი „არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 9 ოქტომბრის № 941 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის №1205 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 10 იანვარს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 17 იანვარს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

თავმჯდომარე

მდივანი

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4.ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 24 მარტს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ, საბჭომ მიიჩნია, რომ მე-2 სტანდარტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან".

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,აკრედიტაციის საბჭომ კენჭისყრის შედეგად, ცხრა ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1.უარი ეთქვას სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს ამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

2. ცნობილ იქნას „არქეოლოგიის" პროგრამის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 26 მარტის №-13 სხდომის ოქმის № 04 ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭოს გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და დაამატა შემდეგი მოსაზრებები, რეკომენდაციები:

ა) სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები აუცილებლად უნდა იყვნენ ამ დარგის (არქეოლოგიის სპეციალისტები) სპეციალისტები და ნაშრომები მეტწილად უნდა ეხებოდეს არქეოლოგიას.

ბ) სფერის სპეციფიკიდან და სამაგისრტო საფეხურის მიზნებიდან გამომდინერა გასაძლიერებელია საველე პრაქტიკა და არქეოლოგიურ ექსპედიციებში სტუდენტთა მონაწილეობა

გ) სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცეთ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებად აირჩიონ დარგის ვიწრო სპეციალისტები, როგორც საქართველოს უნივერსიტეტის, ასევე, სხვა უნივერსიტეტის კვალიფიციური აკადემიური პერსონალიდან, რომელებსაც ექნებათ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

თავმჯდომარე

მდივანი

დ) მნიშვნელოვანია პროგრამის ფარგლებში დაინერგოს და გაძლიერდეს წამყვან ევროპულ კვლევით ცენტრებთან უფრო აქტიური კოოპერაცია.

ე) წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურიდან ვერ დგინდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევის გზები, კერძოდ: წარმოდგენილ სილაბუსებში მწირია საკუთრივ არქეოლოგიური საგნების წილი, გაცილებით დიდია მომიჯნავე და განსაკუთრებით არქეოლოგიის სპეციალობასთან ნაკლებად დაკავშირებული საგნების რიცხვი. მაგ. კურიკულუმში საკუთრივ არქეოლოგიის სფეროდან სულ სამი საგანია შეთავაზებული: არქეოლოგიური არტეფაქტები, თბილისის არქეოლოგია და სიძველეთა ექსპერტიზა. წარმოდგენილი მომიჯნავე საგნები ძალიან საინტერესო ა, მაგრამ ისინი ვერ ჩაანაცვლებს საკუთრივ არქეოლოგიის საგნებს. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია მაშინ, როცა პროგრამასთან შინაარსობრივად დაუკავშირებელ საგანთა რიცხვი გაცილებით მეტია: ხუთი კურსი - ბიზნესკომუნიკაციის და ოთხი კურსი - დარგობრივი ტექსტების თარგმანის, რომლებიც ენობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი წინაპირობების გარეშეა შეთავაზებული; ეს კი საეჭვოს ხდის მათ ეფექტურობას.

ვ) პროგრამაში არ არის წარმოდგენილი არქეოლოგიაში კვლევის მეთოდების კურსი, ზოგადად, კურსი, რომელიც არქეოლოგიის, როგორც სფეროს სამეცნიერო ისტორიის პრობლემატიკას ეხება (სხვადასხვა მიმართულებები, ისტორიულ-ქრონოლოგიური განვითარება და ა.შ.). ამას ვერ ჩაანაცვლებს აკადემიური წერის კურსი, რომელიც, წარმოდგენილი სილაბუსის მიხედვით სამეცნიერო წერის ტექნიკურ მხარეებს მიმოიხილავს.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 06 აპრილს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი ნიკოლოზ კიკნაძე

დანართი №1

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	არქეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2015 წლის 21 იანვრის, №2
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	არქეოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქეოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	კვალიფიკაციის კოდი[7]	0222
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას ქ.№77, კორპ №6
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 06 აპრილი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	-
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[2]ავტორიზებულიან/დახელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[3]საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[4]ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[5]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით

[6]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[9]საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი